



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 69

ქ. გარდაბანი

27/05/2022

69-06-4-202205272120



## გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ზურაბ ჩუბინიძისა და მწვრთნელის შოთა ფერაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის N49 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2022 წლის 04 მაისის N90 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

#### მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - ზურაბ ჩუბინიძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 200 (ორასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - შოთა ფერაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 100 (ასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

#### მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

ზურაბ ჩუბინიძე - 200 (ორასი) ლარი, პ/ნ

შოთა ფერაშვილი - 100 (ასი) ლარი, პ/ნ

### მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

### მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

